

საბჭოთა



ბ. ლ. ნარდიშვილი
საბჭოთა საბჭოთა მუხ
განცხადება
საბჭოთა საბჭოთა
7" 17 1931 E
№ 132
L. Nardishvili

„გაუბეზრობა“

— კოლექტივიზაცია წარმატებათ ტარდება... კულაქობა, როგორც
კლასი. განაღოტებოლია... ჩივნი წინახწარმეტყველობა არც ერთი არ გა.

„ჭკვიანი კომუნისტი“

იყო და არც იყო.

იყო პარტიის წევრი, სახელათ ვანო გვარად უჩინაძე. ცხოვრობდა და „მოღვაწეობდა“ აბაშეთის რაიონში, სოფელ ზვერნათში. ვანო წევრი იყო პარტიის იმდენათ, რამდენათ პარტიულითი ეკავა ხელში, მაგრამ არ იყო პარტიული იმდენათ, რამდენათ მას კომუნისტობის იოტის ოდენა არ ეცნო. პარტიაში მას წინათ თავისი „ძმა-ბიჭები“-ც უყვდა, რომლებიც ვერ გადაურჩენ წმენდას და დაცოცხილ იქნენ პარტიიდან. ვანო წმენდას გადარჩა და პარტიულითი ისევ უბის ჯიბეში ჩაიდვა.

— ხერხი სჯობია ღონესა, — დასცინოდა ის ყოფილ პარტიულებს, — საქმე ჭკვაშია. ყველაფერი ჭკუით კეთდება. ჭკვიანი კომუნისტი რომ არ ვყოფილიყავი, თქვენი ბედი მეწვეოდა, — ეუბნებოდა ის თავის „ძმა-ბიჭებს“..

ვინ იყო ვანო უჩინაძე?

ის იყო კულაკი, როგორც მდგომარეობით, ისე შეგნებით.

წინად ვანო თავის სოფელში ერთ-ერთ შეძლებულ მოსახლეთ ითვლებოდა. რევოლიუციის მოახლოება მან ღრღინე შეიყნოსა და ქონების ნაწილი მიყიდა. მიყიდა. ფულები ბლომით აიღო, ჭერში აიტანა და დამალა; რევოლიუციის ღრღინე ვანომ „გადმოაგდო“ თავისი გრძელი მოქნილი ენა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს...

კოლექტივის დაარსებას ზვერნათის ღარიბი გლეხები აღტაცებით შეხვდნენ. კულაკებს და ყოფილ თავად-აზნაურებს კოლექტივის გაგონებაზე თავზარი დაეცათ. ვანო უჩინაძესაც არ სიამოვნებია ეს ამბავი.

აბა, ვანო, შენ იცი, ეს კოლექტივი ჩვენთვის მისწრება იქნება, კომუნისტი კაცი ხარ, გვიშველე, ჩქარა გაგვაკეთებე მაი კოლექტივი, — თხოვდნენ მას ღარიბი გლეხები.

— აბა, ვანოჯან, შენ თუ გვიშველი, თორემ დავიღუპეთ, — კოლექტივი ტყვიანა ჩვენთვის, თხოვდნენ მას კულაკები.

— კოლექტივისთვის თავი უნდა დავდოთ. კოლექტივი გზაა სოციალისტებისაკენ.. გაიძახოდა ვანო ღარიბ გლეხებთან.

— დედას ვუტირებ კოლექტივას ხალხს.. რის კოლექტივი, რა კოლექტივი. თქვენ ცოტა მოითმინეთ და განახებთ მათ სეირს, — აიძებებდა ვანო კულაკებს.

ზვერნათის კოლექტივი გაივსო კულაკებით, კოლექტივის თავმჯდომარეთ ვანო აირჩიეს.

ჩვენის სოფელი

წინად

ნახ. ქოქიაშვილისა



— ეს როგორ, არის ვერ მივხვდი როგორი განაჩენია?! მიწა სხილია, ვეჩირაობ, შრომა კი მარტო ჩემია.




— თავს შემოვევლე მეფესა, აქვს სწორი განაჩენია: გლეხებს — შრომა... მიწა და ზედ მოსავალი ჩემია.

ახლა



— ესლა კი მივხდით მთავრობის ჩვენ სწორი განაჩენია. მიწა კოლექტივს გვეკუთვნის აა მოსავალიც ჩვენია.



— ეს როგორ არის ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?! ღარიბ გლეხებმა წაიღეს ყოველი მიწები ჩემია.

მან კოლექტივიდან ღარიბი გლეხები გარეკა, — ზოგს რა მოუგონა და ზოგს რა.

ღარიბი გლეხები კულაკებათ გამოაცხადა, კულაკები კი ღარიბ გლეხებათ.

დაიწყო ბოლშევიკური თესვა, რომელმაც მიიპყრო პარტიისა და საბჭოთა ორგანოების მთელი ყურადღება.

დაიწყო ადგილებზე წინასწარი მუშაობის შემოწმება.


ზვერნათელებს წინასწარი მუშაობა არ ქონდათ ჩატარებული; — ხომ არ მოგცლიათ თქვენ? რას ჩქარობთ,

ეუბნებოდა ვანო გლეხებს, როცა რომელიმე მათგანი თესვისათვის მოსამზადებელ მუშაობაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს.

სოფელ ზვერნათს ტფილისიდან ესტუმრა მუშა-ბრიგადელები, რომლებმაც ვანოს საქმიანობა გამოარაკვიეს და მის შესახებ აცნობეს საკონტროლო კომისიას.

ვანო ორივე ფეხებით გაება ხაფანგში. „ჭკვიან კომუნისტს“ აღმოაჩინდა მოკლე ჭკვა და ის როგორც ოპორტუნისტი და კულაკების აგენტი პარტიიდან გააძევეს.

ყუმბარა,



— მოგვაწოდეთ ათი ტრაქტორი, ამდენივე სათესი და ოციოდე სარჩევი მანქანა! — ასე მისწერა კოლექტივმა ცენტრალურ დაწესებულებას.

— აბა, გაზაფხულის თესვის დაწყებამდე ორი თვეა დარჩენილი ეს მანქანები დროზე გავგზავნოთ, დაფაცურდნ დაწესებულებაში და მართლაც ერთ კვირაში ქარხნიდან დაიძრა კოლექტივისთვის სასურველი მანქანება.

— „მანქანები წამოსულია“, — მოუვიდა კოლექტივის ხმარტი დებეშა.

ეს იყო იანვრის პირველ რიცხვებში.

— მაშ ათ დღეში, იანვრის შუაში ტრაქტორები კარებზე მოგვადგება. მერე მშვიდობით, მამა-პაპურ კავსახნისა და თქვენც დაისვენეთ, ხარებო, — იფშენებდა ხელებს კოლექტივის თავმჯდომარე.

— რა ჩამორჩენილობაა კავი და სახნისი!

— ამრეხით სთქვა თავმჯდომარას შოადგილემ.

— ეგ ხარ-კამეჩი ხომ სულ გამოვიდა მოდიდან, მაგათ ყვირილზე ყელის სიმები დამაწყდა, — დაუმატა ერთმა აქტივისტმა.

— მოგვივა ტრაქტორები და მერე

მე ვიცი, — ამბობდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, — ყოველ წვეთ ნავთს კონტროლს გაუწევ, ბიჭია და ვინმემ ბენზინი წაიღოს თუნდაც „ზაჟიგალკისთვის“. ხელად — შავ დაფაზე.

ასე ოცნებობდნენ კოლექტივში. მაგრამ...

სულ სხვა ხასიათის აღმოჩნდნენ რკინის გზის სადგურების უფროსნი. რომ საერთოდ ტემპი არსებობს, სადგურის უფროსებმა იქიდან იციან, რომ მატარებელი უფრო ჩქარა მიდის, ვიდრე ურემი: აქ ტემპშია განსხვავება. ამიტომ სადგურის უფროსმა იცის რა არის ტემპი.

ერთი იაღლიში მოსდით ოღონდ სადგურის უფროსებს. მათ ვერ გაიგეს თესვის ტემპი და ამან გამოიწვია ჩვენი კოლექტივის სარევიზიო კომისიის გაკვირვება: შუა იანვარი გავიდა და ტრაქტორები არსად სჩანდნენ.

უცადეს იანვრის დამლევამდე. თქვენც არ მომიკდეთ. უცადეს თებერვლის ათამდე, ოცამდე... სადაა ტრაქტორები!..

თურმე სადგურთა უფროსებს არც ისე სასწრაფოდ მიაჩნიათ საქმე. ტრაქტორებით დატვირთული ვაგონი ხან ერთ ჩიხში იღვა, ხან მეორეში. ბო-

ლოს როგორც იქნა, ჩამოაღწია ბაქომდე. შემდეგ კი, რატომღაც უკანვე გაბრუნდა და როსტოვისკენ გააწვია. გზაზე ერთ-ერთ სადგურის უფროსს არ ექაზნია კინჩხის კოლექტივის ვაგონის ასეთი მარშრუტი და ვაგონი უკანვე დააბრუნა. შუა თებერვალში ვაგონი უკვე ტფილისში იყო და აქედან რაღაც სამოციოდე კილომეტრის გავლა იყო საქირო.

ვაგონმა (რას გაიგებ ვაგონის ამბავს) სრულებით უმიზეზოდ გაუტია ერევნისაკენ, ხოლო როცა იქ არ მიიღეს, დაბრუნდა და ისევ ბაქოსკენ ქნა პირი.

დასრულდა მარტი და კინჩხის კოლექტივი ამიოდ ელის ფირალად გაჭრილ ვაგონს.

აპრილი დაიწყო. ხენა გახურებულა. თესავენ კიდევ.

სადგურის უფროსებს რა ესაქმებათ!..


ამხანაგებო, როგორებო, ბატონებო, ბიძაშვილებო და ნათლიამებო, კეთილნო და გულჩკა სადგურთა უფროსნო! რად გინდათ ჩვენი კინჩხის კოლექტივის ტრაქტორები? მოგვეციეთ, იწამეთ ტემპი და გაქანება, დავებრუნეთ ჩვენი ტრაქტორები..

ტერსიტი

კოლექტივის ყანა

ყანაო, ჩვენო ყანაო, ოქროს ზურმუხტო ყანაო, იკურთხოს მისი მარჯვენა ვინც გთესა, მოგიყვანაო. ჩვენსა მთავრობას მივყვებით, კოლექტივს მიგიყვანაო, და უმჯობესი ამისა იქნებასხვა ვინ განაო! მინდორ-ველებს ხნავს ტრაქტორი, ჩვენ თესლით მივსდევთ თანაო, მთავრობას მხარში ვუდგევართ, სხვას ვის ჰყავს ჩვენისთანაო! ახალ ცხოვრებას ვაშენებთ, გვიციქერის ჩვენ ქვეყანაო. და უფრო არავის ვათხოვებთ, ცუდი რომ იყაყანაო. ყანაო, ჩვენო ყანაო, ოქროს ზურმუხტო ყანაო, ჩვენს მტრებს და ორგულთგაუჩნდათ კეფის და თავის ფხანა: გავერთიანდით სუყველა, დადგა ახალი ხანაო და კოლექტივის სიყვარულს ვინ მოგვთხრის გულიდანაო! არვის დავინდობთ ჩვენს რიგში საქმეში ვინც გვიგანაო, სულ ვაი დედას ვაძახებთ, ვისაც სწაღს ჩავცვეს დანაო. ყანაო, ჩვენო ყანაო, ოქროს ზურმუხტო ყანაო, იკურთხოს მისი მარჯვენა ვინც გთესა, მოგიყვანაო.

რინ-ტინ-ტინ.



„რეკონსტრუქციის ხანასთან დაკავშირებით საბჭოების მუშაობა შესაფერათ უნდა გარდაიქმნას.“

ეს ჭეშმარიტი უებულება კარგათ შქონდით დაზეპირებული კასპის რაიონის ხელმძღვანელებს და მისი ცხოვრებაში გატარების მაზნით შეუღდენ სწრაფი ტემპით სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებების გამოცემას.

ამა წლის 8 მარტის რიცხვამდის ცხრა ასეთი დადგენილებები გამოაქვეყნეს.

არ ვიცით რა შინაარსის არიან დაწარჩენი რვა, მაგრამ მეცხრე სავალდებულო დადგენილებას, რომ თვალსაჩინო რეკონსტრუქციის შეტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში — ეს ყოველივე ექვს გარეშეა!

ავიღოთ, თუნდაც, მისი პირველი მუხლი, რომელიც გადაჭრით მოიზნოვს სოფლის შარავნაზე ყველა საშვალდებით მოგზაურთაგან სიფხიზლეს!

მეორე მუხლი კი ავალებს მგზავრს იყოს სრულყოფილებაანი მოქალაქის ასაკის, — თვრამეტი წლის, — და უსათუოდ ჯანსაღი და არა ბრმა, კოჭლი, ან ყრუ-მუნჯი. აგრეთვე კარგათ გაწვრთნილი უნდა იყოს ნაბიჯში და მიხრა-მოხრაში.

ამავე მუხლის შენაშენა ავალებს უცაბედად გაშნად პირს, რომ ეჭიმის მოწვევამდე მან აღძრას შუამდგომლობა რაიადმინგანის წინაშე ლოგინში ჩაწოლის შესახებ!

არას ვიტყვი მესამე მუხლის შესახებ,

მხოლოდ მისა შენიშვნა არის ფრიად საყოჩადღებო. ამ შენიშვნის ძალით, მგზავრი ვალდებულია საღამოს რვა საათიდან დილის ექვს საათამდის უფარნოთ არ გამოვიდეს. გარეთ. არაფერია ნათქვამი მხოლოდ მთვარიან ღამეებისა და ზაფხულის დღეების შესახებ, როდესაც უფრო გვიან ღამდება და ადრე თუნდება.

მეოთხე მუხლში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ცხენები უსათუოდ თოხნარკით უნდა დადიოდენ და არა ლაფშური ნაბიჯით.

არას ვიტყით, აგრეთვე, მეხუთე მუხლზე, რომელიც უმნიშვნელო საკითხს ეხება, — ეკრძალება მეეტლეს თავის გვერდით კოფოზე მგზავრის შემოჯენა.

საყოჩადღებოა მეექვსე მუხლი, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს ხანდახან. მისი ძალით ნება დართულია შარავნაზე მხოლოდ მარჯვნივ სიარული. მარა ვინც იცის ჩვენი შარავნების ამბავი, ის დაგვეთანხმება იმაში, რომ ეს ძნელი შესასრულებელია, რადგან ხშირათ სწორე იეს მარჯვენა მხარე აღმოჩნდება-ხლომე მუხლებამდე ლაფიანი.

ეტოვებთ რა აგრეთვე სხვა მუხლებს, — თუმცა იმათშიდაც ბევრი რამ არის საყოჩადღებო, — არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მეთე მუხლის ღრმა აზრი. ეს მუხლი ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ სოფლებში გაცხოველებულია ეტლებით და სხვა მომამრავებელ ძალებით მიმოსვლა და ამიტომ სწორეთ დროულია

მათი სწრაფი მიმოსვლის აკრძალვა, — მრავალი მარტის თავიდან ასაცილებლათ.

ცოტაოდენ უკმაყოფილებას გამოიწვევს აგრეთვე საცაღდებულო დადგენილების მეთერთმეტე მუხლი, რომლის ძალითაც ამ დაიანილებების რომელიმე მუხლის დამრღვევი დაჯარიმებული უნდა იქნეს ორმოცდაათი მანეთის რაოდენობით, ან რვიდან თორმეტ დღემდე იძულებითი მუშაობით. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება შესაფერ განმარტებას მისცემს კასპის რაიონის ხელმძღვანელებს, ფულადი რესურსების დაგროვების ტემპების აჩქარებაში და მოსალოდნელია თავბრუდახვევის განმეორება.

თუმცა, მეორე წრით, მეთორმეტე მუხლი იმას აღნიშნავს, რომ ამ რაიონის ხელმძღვანელები არ არიან აჩქარებული ხალხი, რადგან აქ მუხლას ძალით ეს დაიანილება ძალაში შედის მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოჩიყნებისა.

თუ თითქმის ყველა მუხლებს ამ სავალდებულო დაიანილებისა „მე-მარცხენობის“ ელოტერი აზის, ამ მეთორმეტი მუხლში ცხადათ გამოსჭვივის მემარჯვენე გათახრა.

ემშობთ, რომ ასეთი „მემარცხენე“ მემარჯვენე გადახრებით არ აბენცელდენ მუშაკები თავბრუდახვეულებსაფით!..

ს. თ — ია

ნახ. ქოქიაშვილის



— რა დროს ძილია! თევა დაიწყო, აღქ შე ზარმაცო!

პან-მეგროპიკალი

ერთი ლივის სესიაზე



ბოქსანი: — ამგვარად, ჩემი „პანევროპა“ მთელ მსოფლიოში დაამ-
ყარებს მშვიდობიანობას და კეთილ დღეობას...

ინ. ნახატი ქვემოთ.

პირველი აპრილი

ბერლინი. სოც.-დემოკრატული ისევ აუყაყანდენ საბჭოთა კავშირის შესა-
ნებ. დანი და აბრამოვიჩი სწერენ:
„კომუნისტებმა ნავთის მრეწველო-
ბაში უკვე შეასრულეს პირველი აპ-
რილისათვის ორნახევარ წლის განმა-
ვლობაში ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი
იმედი, რომ პირველ აპრილს ისინიც
(კომუნისტები) მოიტყუილებდენ და
ვერ შეასრულებდენ გეგმას, არ გამა-
რთლდა. აი, სანამდე მიდის მათი თა-
ვხელობა“.

მკუხის სწავლება



კუანკარე (ბრიანს): — აწ კიდევ
არ წამოროშო „პან-ევროპული“ სი-
სულედე, თორემ ვერ ვაღამირჩები.
შენ გგონია ერთა ლიგაში ყოველივე
სისულელეს ლაპარაკი შეიძლება.
ამიერიდან უჩემოდ კრინტი არ დაძ-
რა სხვებთან, თორემ ხომ ხედავ ვერ-
საღის ზავს წყალი შეუდგა.

ბრინანი: — ეს ერთი მაპატიე და
შენს დაუკითხავად არაფერს ვიზამ!
დამბლის მიზეზი

პარინი. როგორც მკითხველე-
ბმა იციან, პუანკარეს ვასულ წელს
დამბლა დაეცა. ესლახან პუანკარემ
გახეთებში გამოაქვეყნა ოფიციალუ-
რი ცნობა, რომ „დამბლა გამოიწვია
გერმანია - ავსტრიის საბაჟო ხელშე-
კრულების წინასწარმა გრძნობამ“-ო.

მალღობის გამოცხადება

ლონდონი. ჩემბერლენმა პენ-
დერსონს მადლობა გამოუცხადა
კონსერვატორებისათვის ერთგული
სამსახურის გამო.

მგლოვიარე დეტერდინგი

ლონდონი. დეტერდელ ვაზე-
თებში მოთავსებულია დეტერდინგის
სამგლოვიარო განცხადება ბაქოს ნა-
ვთის ხელში ჩაგდების ოცნების გარ-
დაცვალების შესახებ.

ქართველმა ემიგრანტიბმა სამძიმ-
რის დეპეშებში გაუგზავნეს მათ სიძეს.
(დეტერდინგს ცოლად ჰყავს ქართვე-
ლი ემიგრანტი ქალი).

ღვინილი ძმები

ბერლინი. სოც.-დემოკრატული
პარტიას განზრახული აქვს გაერთიან-
დეს ფაშისტებთან, რადგან მათ შო-
რის უკვე ამოწურულია გაუგებრობა,
თითქოს ისინი სხვადასხვა პარტიებს
წარმოადგენდენ.

კატა მარ შემწვდა ძმებსაო,
პარასქმინა დღესაო,

„ნავთის მეფეს“ დეტერდინგს, რო-
მელიც ოცნებობდა ბაქოს ნავთის ხე-
ლში ჩაგდებას, იმედი სამუდამოდ გა-
უცრუვდა.




ვენტერბერიის ევისკოპოზი და მისი
არქი-დიაკვანი

oooooooooooooooooooooooooooo

პრემიერი — დიაკვანი

ლონდონი. კენტერბერიის ეპის-
კოპოს ისე მოეწონა მაკდონალდის
მიერ შეთხზული ლოცვა დეთისადმი
უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ,
რომ პირველმა უკანასკნელი არქი-
დიაკვანად აიყვანა.



დეტერდინგი:—რას ვატენდი თავს
ამ ბაქოს ნავთს, არ ვარგებულა, ცე-
ცხლი ვერ წაუციდე!



ბრინანი: — პოლისმენე! გვიშველეთ, ვიღუბებით, გერმანია და ავს-
ტრია მართლა ატარებენ ცხოვრებაში ჩემს „პანევროპას“.



არხიპო ჯინჯიხაძე, როცა ის სოფ. ბელტიანის აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, როგორც ბელტიანელები ამბობდნენ, „პაღიომში“ აიწია.

— კამპანიები ბოშო? აწი სრული ასი პროცენტით უნდა იქნეს ჩატარებული, ნაკლებს ვერ მევითმენ ჩემს საუჯრედომში, — განაცხადა მან.

პირველი კამპანიად მან გამოაცხადა კამპანიების ჩატარებისათვის ნიადგის მომზადების კამპანია და შეუდგა მის ჩატარებას ასი პროცენტით. ეს კამპანია კულაკ ღვლეპიაშვილის ოჯახიდან დაიწყო. კაი ღვინო ჰქონდა ღვლეპიაშვილს. ქალიშვილიც მოსწრებული ჰყავდა და არხიპოს, კარგა ხანია თვალში მოსდიოდა ის.

გავკეთი და ეგაა, — ისი უპრაყაის თვლებს, რომ მკონი მართლა მოსწონს ეს ჩემი კაროქა და თუ ჩავისიძევე არ იქნება შტუქა? — გადაუღაპარაკა ღვლეპიაშვილმა ცოლს.

— მერე კომუნისტს მივათბომ ქალს და მიწაზე გევიარ კიდევ?..

— გაჩერდი აღამიანო მაგი რაუერი კომ უნისტია თუ იცი, ჩვენი კომუნისტები რომ არიან — მემარჯვესე ოპორტუნისტები — მაგი ივია, მაგას რომ კულაკი ხალხი ეთავისება, იყ მენშევიკიც არ მინახავს!

იცის ღვლეპიაშვილმა ხალხის ცნობა, „ძველია“.

ეს პირველი კამპანია არხიპომ ჩაატარა ღვლეპიაშვილის ოჯახში ასპროცენტიანი ჩასიძებით.

— სიძე, ვენაცვალე შენს პარტილეთს იმ მოვარაყიბულ ყდაში, — შესძახოდა სიმამრი არხიპოს.

მეორე „მაგარი“ კამპანია, რომელიც არხიპომ „ჩაატარა“, იყო ბელტიანის მთლიან კოლექტივიზაციასზე გადაყენა.

— ეს კამპანიაც სრული ასი პროცენტით „ჩაატარა“ არხიპომ ოა... იცოცხლეთ ბელტიანის კოლექტივიზში „ჩამოყალიბდნენ“ კოლოაიბი. ღარიბმა და საშუალო გლეხობამ თითზე იკბია.

— მაგა ვითამ პარტიის ხაზი? — კითხულობდა ერთი.

— გაჩერდი, ბიძა, არ გავიგოს თვარა, შენ რომ ღარიბი ხარ, კულაკათ გამოგაცხადებს და მერე უყარე კაკალი — უპასუხებდა მეორე.

— კი მარა, ავი რაცხა არ უნდა იყოს პარტიის ხაზი. ჯიუტობდა ის.

მესამე კამპანია — საგაზაფხულო თესვა...

— აბა ესეც ასი პროცენტით ჩაეატაროთ. — განაცხადა არხიპომ.

— საიდან, ამხანაგო, ტრაქტორი შეუკეთებელი გდია, თესლიც შესაგროვებელია, კულაკები პარაპობენ, ხაზი მრუდიდება. შეუბრუნეს სიტყვა.

— შენ, ბიძა, დიდი ხანია ვატყობ კოჩიბში, რომ მემარჯვენე — მომემარცხენო“ ოპორტუნისტ — პანიკიორი ხარ.

საერთო კრებაზე არხიპომ მთელი ცირკულიარა „ჩაუყაკა“ გლეხებს.

— ამხანაგებო, არც ერთი ნაკვეთი მიწა არ დასტოვოთ დაუნნაფი, თესლი დროზე შეაგროვეთ, დათესეთ, სადაც მოგზვდეთ, რამდენიც მოგვზდეთ, ვისაც მოგვზდეთ, — არა, თუ არ გინდათ ნუ დათესავთ, მე რა მენაღლევა, პარტია მავაოებს ოა იმიტომ ვლა პარაკობ თვარა, — ჩემ სიმამრს ძარი სავსე აქვს და ნალია.

— კი მარა... დაპირა ღარიბმა გოგამ შეკამათება.

— არავითარი „მარა“ და არავითარი სარა. კმარა, რომ გეუბნები, ისე ქენით თვარა...

და არხიპომ კამპანია ჩატარებულად ჩასთვალა — „ასი პროცენტით“.

თესვის გეგმა ჩაიშალა. ღარიბებმა თესლი იირ მიიოოს საბაღზე მიწებზე. კულაკებმა პური დათესეს. ეს ამბავი უჯრდის წვევრებმა და ღარიბებმა აცნობეს სადაც ვერ არს.

შესრულების შემოწმების კამპანიაც გამოცხადდა.

— ეს კამპანია კი, რაცხა არ მომწონს. ეს უსაქმური ხალხის გასართობს გავს, — მევალეობდა კამპანიის ჩატარება, ვატარებდი 100 პროცენტით, ამას რალა შემოწმება უნდა, — დასკენა ოაუნებოდ არხიპომ.

— ამხანაგო ჯინჯიხაძე, ჩიონ შემოწმებელი ბრიგადის წევრები ვართ. გვიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

1) ჩატარდა თუ არა თქვენს სოფელში განკულაკება.

— სრული ასი პროცენტით, — ახალა კოლოკები სულ არტელში არიან. (ბრიგადის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს).

— კმარა ამხანაგო, შემდეგ კითხვებზე შეგიძლია აღარ შეიწყუხო თავი...

— კი მარა... — არათირი „მარა“, კმარა, თვარა...

ბრიგადის წევრებმა თვით გლეხებისაგან გამოარკიეს დანარჩენი კითხვები და როცა მათი დაბრუნების შემდეგ, ვახეთებში გამოცხადდა საკომისიის დადგენილება — ჯინჯიხაძის, როგორც გადაგვარებული ელემენტის, ოპორტუნისტის და ცეკას ხაზის გამმრუდებლის პარტიის რიგებიდან გაძევების შესახებ, როცა კულაკები კინწისკვრით იფრინეს ბელტიანის კოლექტივიდან, როცა მათი ინვენტარი გადაეცა ღარიბებს, როცა ღვლეპიაშვილის მიერ პური დათესილ საბაღზე მიწას ხელახლა გადასახნავად მიადგა ტრაქტორი, მხოლოდ მაშინ მიხედა არხიპო თავისი ასპროცენტიანი კამპანიების ნამდვილ შენაარს.


— ავი კი უნდა იყოს პარტიის ნამდვილი ხაზი. — კმპაოვილებით აცხადებს ღარიბი გოგია.

ღვლეპიაშვილი ქეჩოს იქექს, არხიპო ფრჩხილებს იკვნეტს, ტრაქტორი კი გუგუნებს — მინდვრად, რომ გეგმა შესრულოს...

სრული ასი პროცენტით...
თარსე

სირკულიარების იარიშ

ნახ. ჟოჰიაშვილის



— ამათი ცხოვრებაში გატარამი კი არა, — წაქითხვასაც ვერ აუფალ!

6

—ისინი ჭრიჭინებივით მსჯელობენ და იმ ჭრიჭინასავით იქცევიან, ზამთარში რომ ჭიანჭველას მადღვა კარზე თხოვნით მუცლის გამოსადღვბი და გაზაფხულამდის სულის გასატანი სარჩოსათვის!—ასე დაათვა ქალაქის აქტივის კრებაზე თესვის კამპანიის შესახებ მომხსენებელმა, აგრო ნოორაძემ.

ამ დროს ბუზიყლაპეს ადგილკომის პასუხის გებელი მდივანი, უსმენია უქნარაძე კრების დარბაზში წინა რიგში იჯდა დამართალია, სთვლემდა, მაგრამ სიტყვა „ჭრიჭინა“ ისეთი ჭრიალით შეუძვრა ყურში, რომ უსმენიას ძალაუნებურად გამოეღვიძა და მეზობელს გადახვდა:

—ეს რომელ ჭრიჭინაზე ლაპარაკობდა მომხსენებელი?

—რა შეუგნებლობაა... ნუ თუ არ გისწავლია „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, კრილოვის არაკი?

„ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, დიახ, უსმენიას გაუგონია ასეთი რამ, მაგრამ რომ არ ახსოვს კარგად, არ ავობდება თუ რას ეხებოდა არაკი. კამაზე რომ იყო შიგ ლაპარაკი, ეს ახლა ყურმოკრულადანაც ნათლად სჩანს.

—კარგი და პატიოსანი.—სიტყვა თავისთვის უსმენიამ.—მაგრამ რა შუაშია აქ თესვის კამპანია. აქ ლაპარაკია სიმღერასა, ცეკვასა და სხვა ასეთ გასართობებზე, ხოლო ერთი სიტყვაც არ არის დაძრული თესვის შესახებ.

„ხტუნია ლევა ჭრიჭინა მთელი ზაფხული გალობდა“...

—დასწყევლოს ღმერთმა! გალობასა და ცეკვასზე ლაპარაკი... არც თუ გასაფხულია მოქმედების დროთ აღნიშნული. საქმე ზაფხულს ეხება და მოქმედებაც ზამთარში სწარმოებს, ხოლო გაზაფხულამდე გაწვევასა და ამინათვის ხელისშეწყობას ეფუძრებოდა ჭრიჭინა ჭიანჭველას. ჩვენ კი ამჟამად უკვე გაზაფხულის მშვენიერი დარი და ცხოველმყოფელი სიტობ გვატყობოს. მანასაღამე, ზედმეტია ყოველ საზრუნავზე ზრ ნაც და უადგილოთ მიმიქარა მომხსენებელმა, როცა მაგალათად ჭრიჭინას და ჭიანჭველას ეს არაკი მოიყვანა, ალბად, თავის თავს თუ გოლისნობდა.—დაასვენა უსმენიამ და წიგნი ისეთის ხმაურით მოკეცა, რომ ფურცოლის სოლ ბივირი გააყრევინა.

ბუზიყლაპეს დაწესებულებაში კი ვითარებათა მიმოიხარეობა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა:

—ლევა დაწესებულ საათებში ღია იყო, ადგილკომის პასუხისმგებელი მდივნის პირიც აგრეთვე მუდამ ღია იყო,



—საქმე ისე მიდის, რომ მგონი მალე ჩვენ მოგვიხდება მათთვის დაწვევა!



კამპანიებიც კამპანიებს მოსდევდა, რასაც აგრეთვე საერთოდ გულლიად ხვდებოდა აქ. ერთი სიტყვით, ბუზიყლაპეს დაწესებულებაში ყველა ისე გრძობდა თავის, როგორც კრილოვის მოხსენებელი არაკის გმირი ჭრიჭინა მინდორსა თუ ტყეში, ყოველი ფთათლის ქვეშ, თუ ზევით. მაგრამ...

როცა შემდეგ, ზამთრის ერთ-ერთ თვეში ქალაქში იატარებულ მასიურ მუშაობათა შემოწმების საკითხი იდგა იმავე ადგილის კრიობაზე იმათი დარბაზში, სადაც უსმენია უქნარაძეც ამ დარბაზის იმავე პირველ რიგში იჯდა და ისევე სთიოებდა. როგორც წარსულ გაზაფხულში. უცბათ მისი მიანიბული ყურადღება შეაკრთო იმავე მომხსენებლის, აგრო ნოორაძის ნაცნობმა ხმამ:

„ისინი ჭრიჭინებივით ჭრიჭინებენ, ხოლო იმ ჭრიჭინას კი მოგვიჩვენონ ზაფხული უქმად რომ გაატარა, ხო-

ლო ზამთარში თავის გასატანი ჰურისთვის ჭიანჭველას რომ იიღიდებოდა. მაგალითად, აი, ბუზიყლაპეს ათილოკში ეს მძინარე ჭრიჭინა“... და უსმენია უქნარაძეს გადაანთო თვალები...

მაგრამ რაოა ის უნდოდა. უსმენია იჯოა გაჩივებულოვით. ძნელი გასაგები იყო: ესმოდა თუ არ ესმოდა მას ირატორის სიტყვა. მხოლოდ სიტყვა „ჭრიჭინა“ კი ისევ ძველი ურმის სიმძიმე ჭრიალიბის იმის ყურებში. იგი გულშიაც ჩაუჭრიალდა და სიმწარისაგან ისე ამოჭრიალდა კბილებში, რომ იმისთვის მხეცის კბილთარქიასს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ცოცხალი ადამიანის კბილების უბრალო მოძრაობას.

აქამდის სამართლსავით მღუმარე დარბაზი გამანათლებელი საცილოთ შეიქმნა უსმენიას ამ კბილთა უჩვეულო ახრქიანლებას...



თხეზის პატაკი

—„ჩაის ნათესების გეგმა ბოლშევიკურად უნდა შეს-
რულდეს, გაზაფხული კარზე მოგვადგა, — წიკითხა გა-
ნეთში სოფ. უშაფათის (სენაკი) ჩაის ნათესების დამცველ
მოვალეობათა შემსრულებელმა დ. საბახტარაშვილმა.

—ჰმ, ჩაის ნათესების დაცვა, რა ჩემი საქმეა! მე, ხომ
ძველი პოლიციელი ვარ, დაევალებათ ჩემთვის მექრთა-
მეობა და გლეხების ცემა, „პაქალუსტა“, ეს ჩემი სელობაა,
ჩაის დაღვევზეც არ ვიტყვი უარს! — გაბრაზდა ის.

საბახტარაშვილის უმოქმედობით ჩაის ნათესები
ოზრდება, საქონელი ანადგურებს ნათესებს. კოლექტივის
წევრებმა და გლეხებმა მოითხოვეს საბახტარაშვილის მოხ-
სნა, მაგრამ უშაფათის თხეზმა გაიგეს თუ არა ეს, შეადგი-
ნეს პატაკი და წარუდგინეს თავიანთ პატრონებს:

კარგათ მოგვეხსენებათ, რომ უშაფათში სანამ ჩაის
პლანტაციას გაშენებდნენ, თხეზი აუტანელ შიმშილს გან-
ვიცდიდით, ახლა გვეშველა, მოგვეცა საკმელი. ჩვენ უაღ-
რეს მადლობას უძღვნით საბახტარაშვილს, რადგან ის ჩვენ
ერთგულად გვეპყრობა და ხელს გვიწყობს სურსათ-სანო-
ვავის შოვნაში. ამიტომ წინადადებას გაძღვეთ არ მოხ-
სნათ საბახტარაშვილი თანამდებობიდან.

საბახტარაშვილი მეტად კმაყოფილია ამ პატაკით,
მაგრამ თუ ის ენლავე არ მოიხსნა თანამდებობიდან, გაზა-
ფხულის თესვას ჩაშლა მოეღოს. ივანეძა.

—კარგია, რომ სოფელში თეატრი გქონათ!

—არა, თეატრი წინედ იყო... წარწერა ძველია, ეხლა
შიგ წირვა-ლოცვა!

ჟაკტი № 22

გრიადუნოვს განუსვენეს,
ჩადგან ჰქონდა ცოტა ხინჩი;
სტაქამ ახლდა ლოთობისა
და უყვარდა მალარიჩი.

ტერეღაძეც მის კვალს მიხდევს
თუმც არ ხშირად, — ხანდახანა,
მაგრამ მაინც ვერ გავივით
მისი ჰქუის ანაბანა.


ვგრ ვერ ნახავ და თუ ნახე
ჩქარობს, ყურსაც არვის უგდებს,
საბაკეშირის ბრძანებებიც
მაუღის ჰვეშ ამოუღებს.

კედლით, ქერით თუ წყალი სწევოს,
ეს ხომ იმას არ ეხება,
მაშ გვიბრძანე, ჟაკტის თავო,
შენი ხელით რა შენდება?

საბაკეშირო, გაიღვიძე,
თორემ ბრალი შენც გედება,
ამობრძანდი და თვით ნახე
თუ ამ ჟაკტში რა კეთდება.

გაისარჯე, ფრთა გაშალე,
სოლოლაკში ამოფრინდი
და იხილე რა დღეშია
ოჭროყანის ოცდაშვიდი.
შარშანდელი შეგეთება
კარგად იცით, თუ რას ჰგავდა,
ათეული ათასები
ბრძანეთ: რაში განდიდება?






—ქა, ი ვერანა კულაქი რო იძახოდა საჭმელი საყოფიცარ მოგივათო, ეხლა ხო თვალეზი ებრიცება, ამოდენა თეს-
ლი რო დავამზადეთ!

მეცაღინებოდა იზარებოდა
სალამოს 6 საათოზ

ლიტერატური წარის — 9 აკრილს
ახალბაზრად მხატვრების — 10 აკრილს

სახელება დირექტორის მოლოდინში



დაკავშირებული ცირკულიარები

10

— რაო! ხორცის დამზადებაო? სადაა დასამზადებელი ხორცი? ალბად ჩვენს პირობებს არ იცნობენ, თორემ მაგას რავე მოგვეწერდენ! — ჩაილაპარაკა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ და მდივანს მიუბრუნდა — ჩააქერე საქმეში აგი ცირკულიარია თუ რაღაცა და განვიხილოთ როდისმე.

ცირკულიარი ძაფით მაგრად მიაკერეს საქმეში და მაგიდის უჯრაში დაამწყვდიეს, რომ ხმა არ ამოეღო, და არავის გაეგონა მისი ყვირილი.

— ვიხრჩობი, ჰაერი არა მყოფნის.

— ამოიკენესა ცირკულიარმა.

— ტყვილად ბროგავ, მეგობარო, ვერაფერს გახდები! — გადასძახა იმავე საქმეში ჩაკერებულმა დაზოგვის ერთთვიურის ცირკულიარმა და, შემოხეული ნაპირები შეათამაშა. — ხომ ზედავ რა დღეში ვარ, არც კი წამიკითხეს ისე ჩამაკერეს საქმეში და თავმჯდომარე ნელ-ნელა მზმარობს პაპიროსის ქალაქდათ.

— მეც ეგ დღე მომელის არა! — იკითხა ხორცის დამზადების ცირკულიარმა.

— უსათუოდ, მეგობარო, უსათუოდ.

— გვედები, სადაცაა მოვედები,

— ამოიკენესა ერთმა ცირკულიარმა.

— შენ ვინლა ხარ? — იკითხა ახლად მოსულმა.

— მე საბჭოების საანგარიშო საარჩევნო კამპანიის ცირკულიარი ვარ! — ოხვრით სთქვა მან.

— მერე შენც ჩვენს დღეში ჩავარდი? როგორ! განა ანგარიში არ უნდა ჩაატარონ! — იკითხა გაკვირვებით ახლად მოსულმა.

— არც წამიკითხეს, ისე ჩამაკერეს საქმეში. ერთხელ ამომიღეს, კრებაზე განვილვას მიპირებდენ, მაგრამ პევერი საკითხები გვაქვსო და გადამდევს, როდისთვის, არ ვიცი.

— ეხ, სჯობია გამოვიძინო, თორემ სადაცაა თავმჯდომარე მოვა და ერთ გვერდს კიდევ მომახებეს პაპიროსისთვის! — სთქვა დაზოგვის ერთთვიურის ცირკულიარმა და მიიძინა...

— ამხანაგო თავმჯდომარე, კრება მოვიწვიოთ? — მიმართა თავმჯდომარეს მდივანმა.

— არა, ჯერ საკითხები არასდერი გვაქვს.

მაგიდის ყუთში ცირკულიარებმა ყვირილი მორთეს:

— აქა ვართ, აგერა ვართ საკით-

ხები, გავვიხილეთ ბარემ, რაღას უცდით! — მაგრამ მათი ხმაური არავის გაუგონია და ისევ დაჩუმება არ ჩიეს...

—

მოულოდნელი ამბავი მოხდა. საბჭოს ბრიგადა დაესხა თავს.

— რა გააკეთეთ საბჭოების საანგარიშო — საარჩევნო კამპანიის ღირსეულად ჩატარების მიზნით? — იკითხა ბრიგადამ.

— ჰო, ეგ საკითხი ქე გვინდოდა გავეფრჩია, მარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჯერ რა გვეჩქარება.

— როგორ ჩაატარეთ დაზოგვის ერთთვიური? — იკითხა ბრიგადამ.

— რა დროს ჩატარებაა! ჯერ არც კი გავვიხილავს ეს საკითხი.

— ხორცის დამზადების შესახებ, როგორაა საქმე?

— ეს საკითხი ჩვენთვის შეუფუტელია, რადგან კულაკები ძალიან ცოტა გვყავს...

—

შედეგი: თავმჯდომარე მოხსნეს. ცირკულიარები ცხოვრებაში გაატარეს, მართალია დაფიანებით, მაგრამ წათქვათა: — „უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს“.

ვირიგლოხანი სოხო.

გ ე ნ ო ნ

— **ჩინებულნი** ცოლი მყავს: შეხედულადაც კარგია და ზნეობრივად ხომ უკეთესი! — კმაყოფილობით ამბობდა ზენონ თავის გულში და იგონებდა ახლობელ წარსულს, რომელიც ჭრელი გველის მსგავს კინოლენტივით მისრიალებდა თვალების წინ.

ამ კინო - ლენტის მონტაჟი კი ასეთი იყო:
შრომის ბირჟა.
სიმონი რიგში.
გაჭირდება!



...მშვენიერია ჩემი ცოლი!

უყვარს მარო, მაგრამ ზენონ უმუშევარია.

ტანზე არ აცვია და ფეხზე, როგორც ეს შეყვარებულსა და სახიძოს შეჰქვარის.

ერთხელ მარომ თვალი მოჰკრა ზენონს, როცა ეს უკანასკნელი მეპატრონეს პურს ნისიათ სთხოვდა.

თვალი მოარიდა მაროს, მაგრამ მარო მივიდა მასთან და პურის ფული მისცა.

ზენონს ჰგონია: გათავდა სიყვარული, მარო სხვას შეიყვარებს.

ზენონმა გადასწყვიტა თავის მოკვლა, მაგრამ ამ დროს კარებში მზიარული მარო შემოვიდა. სასიხარულო ამბავი მოიტანა: დროებითი სამუშაო უშოვნა ზენონს.

სიხარული.

დაქორწინდენ.

50—60 მანეთს ღებულობს ზენონი თვეში.

კმაყოფილია და ბედნიერი იგი.

— ბედნიერი ვარ ყოველ მხრივ! — ფიქრობს ზენონ და უცქერს მაროს, რომელიც აუთოვებს — მშვენიერია მარო, შეხედულადაც და ზნეობრივადაც. მე მას არასოდეს ვუღალატებ, არასოდეს დავივიწყებ.

ასე მიდიოდა დრო და ბედნიერი ზენონ თავს დასტრიალებდა ცოლს.

— **ახალმა** დირექტორმა, ზენონის ძველმა ამხანაგმა სოფლის სკოლიდან, ზენონ უცბად ისე ასწია, რომ

საქმისმწარმოებლობიდან განყოფილების გაშვებდ დანიშნა.

მაროს გაკვირვებას (და არა მართლ მაროს, მეზობლებისაც) საზღვარი არა ჰქონდა, როცა ზენონ ერთ მშვენიერ დღეს სამსახურიდან აცტოთი დაბრუნდა.

ზენონის ბინის ყოველ კუნჭულში ჩამოწვა ბედნიერების ზევი და ყველაფერი გაავსო.

— ძენს პატივისცემას, ჩემო მარო, ახლა გადვიხდი. თუ კაცი ვარ, ისე ვაცხოვრებ, როგორც დედოფალს! — ეუბნებოდა ზენონ მაროს, რომელიც თავს იჭერდა და ქმარს არიგებდა:

— ზენონ, ფრთხილად; თანამდებობა უნდა შეიფერო, საქმე უნდა გააკეთო, ერთგულად უნდა იმუშაო, ჭკუას უნდა დაუხმო!

ცოტა ხანში ზენონ ისე გამოიცვალა, რომ მას ნაცნობები ვეღარ სცნობდნენ; სამაგიეროდ, ფერც ნაცნობებს ცნობდა ზენონ, რადგან, როგორც ამბობდნენ „ცხვირს ძაან ზევით“ იწევდა.



...რასა ჰვავს! საკვირველია, რატომ მომწონდა!

— **რალან** წახდა მეზონი ჩემი ცოლი, წინანდებურად აღარ მომწონს, რაშია საქმე! ეს გაჭირვებული და საწყალი ისეთივეა, როგორიც წინედ იყო, მაგრამ რატომღაც ახლა აღარ მომწონს ქალი და ანგელოზი ჩვენი მემანქანეა.

— დღესაც დაივიანებ ვაყბატონო? — საყვედურის კილოთი უთხრა მარომ ქმარს.

— ეს შემი საქმე არ არის!

— როგორ თუ არა?

— ერთი ამას დახეო! ქალო, სახლიდან რომ არ გაგდებ, შენ კიდეც ლაპარაკობ?

— რაო? — და ისე ჩაახედა მარომ თვალეზში ქმარს, რომ ზენონს მუხლებში კანკალი აუფარდა.

— გეხუმრე, გეხუმრე მარო! — და როცა ქუდი ხელში იკდო, გარედ გაეარდა და მაროს მოაძახა:

— ამიერიდან ჩვენს შორის საქმე გათავებულა. ჩემგან თავისუფალი ხარ, და მე—შენგან. ჩვენს შორის საერთო არაფერი არის, გარდა ბინისა, და ისიც, რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით, სანამ შენ ან მე სხვა ბინას ვიშოვნებდეთ!

— **მართლაც** ამის შემდეგ ცოლქმარს შორის ყოველთვის „შავი კატა“ დაბოლოდა. გაწყვეტილი იყო „დიპლომატიური კავშირი“, თუმცა ცოლსა და ქმარს შორის, რადგანაც ერთ ბინაში ცხოვრობდნენ, თითო-ორიოლა სიტყვას ერთმანეთს რეპლაკებივით ესროდნენ.

— ბრმა ვიყავ მაშინ. ამ მაიმუნში რა სიმშვენიერეს ვნახულობდი, როცა მომწონდა! — უკვირდა ზენონს და თავის ცოლს აღარებდა მემანქანე და სხვა თანამშრომლებს, რომლებთანაც ხშირად უხდებოდა ქეიფი და დროს ტარება (ამ სიტყვის ყოველმხრივი გაგებით).


მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ტრესტის მუშაობა, მოხსნა დირექტორი (ზენონის ამხანაგი) და მთელი რიგი ვადაჯგუფებები მოახდინა თანამშრომლებთან შორის.

ზენონ ისევ საქმის - მწარმოებლად დანიშნეს.

როცა ზენონ სახლში დაბრუნდა, მარო სამოვარს სწუმენდა.

შეატყო — ქმარი დაღონებული იყო, მაგრამ არაფერი უკითხავს მისთვის.

ზენონ ფრთხილად მიუჯდა მაგიდას და ფიქრებს მიიკა.




... რა მშვენიერი ყოფილა ჩემი ცოლი!

მარომ გაკრიკვებულ სამოვარში წყალი ჩაასხა და ცეცხლი გააჩადა.

— ბრმა ვარ, ნამდვილი ბრმა და თანაც სულელი. ასეთი მშვენიერი ცოლი სხვას არ ეყოლება; ჩინებული ქალია ჩემი მარო, ვენაცვალე მას! — და ზენონს თვალეზი ცრემლებით აევსო.

ისელი.

შ ა კ ი ლ ა უ ა



**ყოჩაღს ვინ გახვას მკითხველთა,
იქ მათი არის ჯიჟითა!**

„ს. აფენის უჯრედის წევრი, ხაჩიძე კულაკების ინტერესებს იცავდა, ებრაძოდ კოლექტიურ მშენებლობას და უჯრედის დადგენილებებს გვერდს უხვევდა.“

ფხიზელი.



არც ეს ჩიბია უბრალო, გული რომ შეიქუფრო, ცლასობრივ მტრების აგენტსა უყვარს კულაკის სუფრაო, მათ სადღეგრძელოდ ნიადაგ ეჭირა სავსე ყანწია, კოლექტივს ორმოს უთხრიდა, თევზას უბირა ყლანწია, მაგრამ ძმრად წამოადინეს; მასაც უჩვენეს ბრანწია!

**ამ აზნაურს—გაქუცულსა,
კოლმეტივი მითად სქულსა**

„ს. შუა-ზანათის კომუ-ჯრედის ყ. წევრი და საბჭოს დელეგატი ვ. უჩანეი-შვილი, გლეხებში აგიტა-ციას ეწევა, არ შევიდენ კოლმეურნეობაში.“

ზანათელი ისარი.



აზნაური გაქუცული, უჩანეიშვილი ვანო, მანდატოვან კომუნისტად თავსა სთვლიდა ეს უმგვანო, მაგრამ კანმა ვერ დაფარა მის შავ გულში შავი ზრანვა მემარჯვენე იდეები ზანათელებს შეახანვა: — კოლექტივში ნუ შეხვალთო ოლიფანტე, ნოვე, ბახვა, მაგრამ ბოლოს რაც მიიღო სიღედრისას „იტრანახა“.

**ზამოგვეპარინ მტრებია,
მაგრამ დაუფრთხვით მუშაკებია**

„გამოძევებულმა კულაკებმა და შავსიელებმა ვ. ლაპიაშვილმა, კიკნაძემ, ცაბუტაშვილმა და სხვ. მოახერხეს ცრუ კოლმეურნეობა „მესვეურის“ დაარსება, სადაც ისინი სჩადიოდენ სისტემატიურ ბოროტმოქმედებას.“

მედგარი.



ლაპიაშვილი, კიკნაძე და მათი ბევრი ძმობილი, ჩარჩ - კომბინატორ შავსიელ კულაკებად გვეყავს ცნობილი ქიზიუში პანდურნაკრავთა ვერ იბოგინეს იქაო; უმესვეურეს „მესვეურს“ და გააცალეს სიქაო, მაგრამ იწვნიეს ბოლოსა სხვა წუწყთა ღირსი ხვედრია, რაც ამათ პანდური მოხვდათ, არც ერთ ვირს არ მოხვედრია.

**ამ კულაკების ბარტყმებსა
კოხტა პანდური არტყმსა**

„ს. შრომის კომკავშირის პლენუმ-მა კომკავშირის რიგებიდან გააძევა ბეგიაშვილი, ეთერაშვილი, სპანდა-რაშვილი, ქმუტაშვილი და სხვ. რომელნიც ილაშქრებდენ კოლექტივი-ზაციის წინააღმდეგ და ეწეოდენ კუ-ლაკურ აგიტაციას.“

შრომელი.




ეს კულაკების ბარტყები კომკავშირის ეტმასნებოდენ, ებრაძოდენ კოლექტივებსა, ღარიბთ წინ ეღობებოდენ, რეგვრულად სჭრიდენ იმ ტოტსა, რომელზეც თვითონ სხდებოდენ, გაუგეს, გააპანდურეს: „ჭკუის ვეკირს“ — იხარჯებოდენ.

**მუხას ძირს შთხრის ტანია?
მისი გაუფხვავაც ახია!**

„ს. გლოლის ოპორტუ-ნისტები: ბერიშვილი, ბი-ჭაშვილი, ბიძიშვილი და სხვ. აქტიურად ილაშქრებ-დენ კოლმეურნეობის წი-ნააღმდეგ, თვით კოლექტი-ვის წევრები, ფლანგადენ სახალხო ქონებას და ძირს უთხრიდენ კოლექტივის. ისინი გამოირიცხენ ორგა-ნიზაციიდან.“

ნესტარი.



ოპორტუნისტულ ღრუტუნით წამომარჯვეს ეშვები, და გლოლის კოლექტივისა სურდათ ეთხარათ ფესვები, მაგრამ გაუგეს, დაცოცხეს დამირჩენ ანაკვნებსები.

**ეს სუჯაშვილი ხეველი,
მყავს ყურიტ დასათრეველი.**

„ხვეის რაიონის საკ. კო-მისიის და მუშგლეხინის ინსტრუქტორი ვასილ სუ-ჯაშვილი, ჩაუსიძევედა შავ-სიელ კულაკს, ხმა აღუდ-გინა.“

ხეველი.




ვაინსტრუქტორდა, პორთფელით, შემოიარა მთებია, ჩაესიძევა კულაკსა, გადააფარა ფრთებია, ის კოლმეურნედ გახადა, ღარიბთ წართვა ხმებია, ამ სუჯაშვილის გატყვერას ნიანგო, გეთანხმებია.

უეუის ოჯღერი ნიანგთან

ნახ. დონის

— ამხ. ნიანგო, რატომ დამივიწყე
ფლოპერტივის სპეციალურ ნომერ-
ში? შარშანდელ ორდერს წელსაც
არ მანადღებს.




მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ უ ი

ნახ. დონის

— კონდუქტორ, ამ ვაგონში ძა-
ლიან სიცივე არის.
— მამა გიცხონდებო შენ ოთახ-
ში სითბო ორმოც გრადუსამდე იქ-
ნებოდა.
— კონდუქტორ; აქ ჩემი ჩამადა-
ნი იყო, სად წავიდა?
— ევენევის მშვიდობიანობის კონ-
ფერენციაზე. მამა ცხონებულო, მე
ლორი ვაგონი მამარია და არც ერთს
არ ვკარგავ ისე ჩამყავს ადგილზე და
შენ ერთ პატარა ჩამადანს ველარ
მოუარე!
— გორში დიდხანს გაჩერდებით?
— ჯერ ალახს მადლობა შესწი-

რე, რომ მშვიდობით ჩავიდეთ; გა-
ჩერებაზე მერე ვილაპარაკოთ.
— მცხეთაში პერაშკები იშოვება?
— ბევრი.
— თითო რა ღირს?
— შენ ეს მითხარი, გასაძლომი
გინდა?
— მაშ, მაშ!
— აბა ოცი მანეთის უნდა იყიდოთ,
რადგან კბილსა და კბილს შუა რომ
გამძერება, იმოღენა აბაში ღირს.
*
— ზესტაფონში ღვინო რა ღირს
ბოთლი?
— თუ ყვირილის წყალნარეც
იყიდით, — მანეთი, ხოლო ძირულის
წყალნარევი — ოცთა მეტი, ვინაი-
დან იგი უფრო დაწმენდილად გამო-
იყურება. კირილე საფიჩხიელი.



მისია ეს კოლოკიონისია?

მამა

(სოფ. მუხრანის რაიონი)

მასწავლებელი: — აბა, ვინც ხართ მარჯვე ბიჭები, მოდიტ ჩემთან. (ვა- მოდის სამი მოწაფე). წადით საღ- გურზე, ეგება შეშა იშოვოთ საღმე, და მოიტანეთ, თორემ ჩაგვყრევია კბილები ყინვამ. (მოწაფეები მი- დიან).

ჩვენ კი იმათ მოსვლამდე, ბავშვ- ბო, მოვითმინოთ როგორმე. უმჯო- ბესია ვივარჯიშოთ და გავხურდებ- ბით (ვარჯიშობენ): ადექით... დაჯე- ქით... ადექით... დასხედით... (მოწა- ფეები თანდათან ახმაურდებიან, არის სიცილი და არალეგალური ლა- პარაკი). რა ამბავია მანდ? ვინაა, რომ იჯლანება? (მოწაფეები ხმას ჩაიწყვეტენ). ვინ იყო, რომ იცი- ნოდა?

მოწაფეები: — არ ვიცით, ბატო- ნო.

მასწ. — ჩიტიშვილო, ეთარე შეით.

ჩიტ: — მე არ ვყოფილვარ, მას- წავლებლო. ეს იყო მგონია! (უთო- თებს ამხანაგებზე).

მასწ.: — „დიდურო“ (მოწაფის ზედმეტი სახელია) იყო?

„დიდურო“: — არა, მასწავლებე- ლო, მე არ ვყოფილვარ, ეს იყო. (უთითებს ამხანაგებზე).

მასწ.: — აქეთ გამეეთრიე „ვირ- თხა“. (ესეც მოწაფის ზედმეტი სახე- ლია).

„ვირთხა“ (ტირის): — მე არ ვყო- ფილვარ, ბატონო, ბერძენაძე იყო.

ვალში (აფხაზეთი) უქმად აწყვი- საწყობში შარშან მიღებული მანქა- ნები.



— მოგვეცი, ამხანაგო, ეგ ტრაქ- ტორები!

— გაიარეთ, ჩაიარეთ, შიგ ოქრო- შიგვიცია, და შენ მიწის სახნავად მო- გლე?

მასწ.: — ბერძენაძე, გამობრძან- დი მუღუ.

მუღუ: — მე არ ვყოფილვარ, მას- წავლებლო.

მასწ.: — გამეეთრიე აქით — სთქვა. (მუღუ არ ვადის). არ ვამო- დინხარ... მოვალ უენტანაც. (მიდია. მუღუ პარტაში მიძვრება, მასწავლე- ბელი ჩავლებს ყურებში ხელს და ამოათრევს ზეგით) სთქვი ვინ იცი- ნოდა კიდევ?

მუღუ (სლუკუნით): — „ვირთხა“, ბატონო.

მასწ.: — „ვირთხა“ ჩემ?... რა ვახეიხვინებდა შე... ჩინია? (აქრიოს „ალიყურს“ ასე ეძახებან სოფში გარ- ტყმას).

„ვირთხა“ (დრაღებს): — ვევაი- მეთე...

„ერთგულუბა“

ნახ. ქოქიაშვილის.

მასწ.: — სუსს! ჩიეოდე ენა! ვინ იცინოდა კიდევ?

„ვირთხა“: — ჩიტიშვილო, მასწა- ვლებილო.

მასწ.: — ხომ კი! გახვალ დაფა- სთან ჩიტიშვილო (ჩიტიშვილი ვა- დს დაფასთან. მასწავლებელს გამო- აქვს ჯობი, რომელსაც ჩიტიშვილმა და- დლ გეოგოფიის გაცვდილზე ხელ- რობს და სცემს თავში). წადი, გეყო- ფა, დასხედი და შეეი ხმა არ გამოგა- ნო (ჩიტიშვილი ჯდვას) რა მოა- ჯულებს ამით? ვირთხაო უნდა ცემა- კაცმა რომ ვევიგონ რამე ასე იყო წინაღ... მოწაფეს რომ ცემა ჰქონდა, იმდენი ბარბანს არ ჰქონია და ქვე- გამოდიოდენ კაცები. თქვენ რა უნდა თქვალოთ! თქვენ რომ ისწავლით, ისე ისწავლა ჩემმა მტერმა. (ტირ- ილით შემოდინ შეშაზე გაგზავნილი მოწაფეები).

მასწ.: — რა იყო? რა მოვივიდათ? რაე დაბმული სხერებივით მღ- ვით?

მოწაფეები: — გააავგლათაახეს...

მასწ.: — ვინ? რატომ?

მოწ.: — საღ მივაქვთ შეშაო და, გააავგლათაახეეს.

მასწ.: — ვერ უთხარით: მასწავ- ლებელმა, შალიკო ქუთათელაძემ გა- ზოგიაგზავნა-თქო!

მოწ.: — ქე უთხარით და გვიო- ხრეს: — თქვენი ბატონი დედაცო... და თქვენი „უშიტელისაცო“.

მასწ. (გაჯაგრებული): — გეთ- რიეთ კარში.

მოწ.: — რატო ბატონო?

მასწ.: — რატომ და იმიტომ (კინ- წის კვრით გაყრის) შემდეგ ჯდება სკამზე და სუნთქვით ითბობს ხე- ლებს. მას ბაძავენ მოწაფეებიც).

მასწ.: — იორთქლეთ, იორთქ- ლეთ... ორთქლი გაათბობს ოთახს. ეს ფიზიკიდან უნდა იჩოდეთ, თქვენ ოხრებო, თქვენა!

ზახნო.

14

სცენა ოჯახში

ნახ. გ. თოიძის



ცოლი: ეს ერთი ხანია, რაც შენ კოლბერატივში მოექყვე, ძალიან უზრდელი გახდი. რაებს მიბედავ თუ იცი?

გოღორი

კოხს (ბათომი) მუშკოპის პურის საცხობის შესახებ გვწერთ, რომ:

ფურნის გამგე გეგელიას
რად არ ესმის ყურში;
სიცხამეზე არას ვამბობ,
თოჯს რა უნდა პურში.

ყოველ შემთხვევაში „კომ აურს“ ბაწრიანი პური სჯობია. ვინიცოხა — კუჭმა ვერ შესძლო მონელება, ადვილად შეგიძლიათ ბაწრის შემწეობით უკანვე ამოართოთ ლუკმა.

გარდა ამისა — „გირუნქა პურში თუ ჯორის დასამბელი ბაწარი აღმოჩნდა“, რა გადარდებთ, ბაწარი მეტი ღირს, ვიდრე პური.

რა თქმა უნდა სწორი თქვენი აზრი, რომ ზოგიერთ კოოპერატორებს არ აწყენს ზურგზე ასეთი ბაწრის „გადატლაშუნება“. მთა უმეტეს, როცა თვითონ იძლევიან საამისო ბაწრის.

მინას (ღუთი) თქვენი გამოცანადან ეს ადგილიც კმარა:

ჩველა კით ქვეშპროშია,
ყით მორიელს უყვარს კბენა;
გამგე არის ვრო შკიდწლეღია
შხამიანი აქვს მას ენა.

სთქვიტ ამკარად, რომ ამ სტრიქონებს თქვენ აღუქმით ტულუს უძღვნი.


ამ-მ-მ-მ-მ (წამლუთი, გურია) ავრონომ ხოწია ჯიბლაძეზე გვწერთ, რომ:

საზამიელს (ჩოხატაური). მაქაურ მეეტლებს ვერ გამოაწორებს ასეთი ლექსი:

მეზავრობა საჯავახომდე
ათი მანეთი ვახადეს;
ავტო სულ მუდამ რემონტში
მეეტლებსა ახარებს.

ყოველ შემთხვევაში ამ თქვენს ლექს მეტი რემონტი დასჭირდა, ვიდრე თქვენს ავტოს. (თუმცაღა დაწვრთულ ავტოზე უკეთესი ლექსი არ დაიწერება).

თუშმანს (სოფ. ფშავი, დუშეთის რაიონი) ჩვეულებრივი ამბავია კოოპერატორის შესახებ:



სიგას თოილებს ნოქარი
მბრეღივით „ალალ-მართალი“.
მოიპატიუებს ძმა-ბიჭებს,
როცა მოუვა ფართალი.

აღბად თემსაბჭოს მდივანიც შიო მათ რიცხვშია, რა რაც შიოს მოეწონება,
გაღმაღება დახლშია.
ცოტა ხნის შემდეგ მას ნახავთ,
თუ მიხვალთ შიოს სახლშია.



ახალ მთვარეზე თუ გამოჩნდება
პლანტაციებში ავრო-ხოწია.
ბუღრ-სადებავით შეითხუპნება,
ნეტავი თავი მას ხად ჰგონია?

სად ჰგონია და ისეთ ადგილას, სადაც:
აღმასკომის თავმჯდომარე
ნადირობამ ვაიტაცა;
საქმისათვის არ სცალია
გაიძახის: „მაცა, მაცა“.

პ.-ლაქმელს (ცაგერი) შვიდწლეღის მასწავლებელი, ყოფილი დიაკვანი თუ კიდევ ღმერთს თაყვანსა სცემს, არ არის გასაკვირი, რადგან ღმერთს შეუსრულებია მისთვის თხოვნა და ოცნება:

რადგან წახდა საქმენი,
აღარ მოდის ქანქარი,—
მასწავლებლად დამნიშონ,—
შვიდწლეღი ხომ აქარი.

დიაკვანი აღბად მღვდლობის მიღებაზე ოცნებობდა, კაცი კი ისე ჩამოქვეითებულა, რომ მასწავლებლად არის შვიდწლეღში. რას ერჩიო!

ვასკაშვას (ხონი) პატიოსნად მოქცეულან, თუ ფოსტიდან ქურდებს არაფერი წაუღიათ. მოღარეს სიხარული — „კიდევ კარგი, რომ იქ არ ვიყავი, თორემ მომიპარავდენ“ —ო,—მართებულა; არ ჰმართებს სიხარული თუ? კაცი გადარჩენილა მოპარვისაგან.



—კართოფილი დააღმო! ჰმ! დავალბე კი არა, თისვის კამპანია ჩავატარე.

ნიანბი



პირველ აპრილისათვის ნათეს ხუთწლედის
ორნახევარ წელში შესრულების გამო, ისევ აყიყინ-
დენ სოც.-ფაშისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მუშა:— თქვენთვის მთელი წლის განმავლობაში
ყოველდღე პირველი აპრილია, ყოველთვის სტყუით!

J. Nadar